პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 1[illegible] (818) კვირა, 16 აპრილი. 1950 წ. ფასი 1 მან.

**პროფ. ზიორბი ჩუბინაშვილი**

საქართველოს სსრ ზეგანდილებული
აკადემიის სრულფასი წევრი.

# გამოჩენილი მხატვარი და პედაგოგი

ქართული საბჭოთა გრაფიკის გამოჩენილ ოსტატს, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ილია შარლემანს დაბადების 70 წელი და მოღვაწეობის 45 წლისთავი შეუსრულდა.

ი. შარლემანი დაიბადა ოდესაში, სადაც ფერწერა, მოქანდაკეობა და ხეროთმოძღვრება ბუდმივ პროფესიულ საქმეს წარმოადგენდა; ჯერ კიდევ გიმნაზიელობის დროს იგი ეხმარებოდა დაავადმყოფებულ მამას — ასრულებდა მასთან ერთად სამხედრო უწყებისაგან დაკვეთილ საილუსტრაციო სამუშაოებს; მამის სიკვდილის შემდეგ, მან დაამთავრა მამის მიერ დაწყებული შეკვეთები. ამას მოსყვა იმავე უწყების პირველი შეკვეთები ახალგაზრდა მხატვრისათვის. ამ გარემოებამ ყარგა ხნით განსაზღვრა მისი, როგორც სამხედრო ილუსტრატორის, მოღვაწეობა და აქედან მისი მხატვრული თავისებურებაც.

პირველი გაკვეთილები თავის სპეციალობაში ი. შარლემანმა მიიღო დედისაგან — ყრიმსკოის მოწაფე-პორტრეტისტისაგან; ხოლო შემდეგ იგი სწავლობდა მხატვართა წამახალისებელი საზოგადოების სკოლაში და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში პროფ. ციონგლინსკისთან და რეპინთან. როგორც თვით ი. შარლემანი აღიარებს, მას დიდი მეშაობა დასჭირდა, რომ თავისი შემოქმედება გარდაექმნა ფერწერის და გრაფიკის იმ ფართო ამოცანების შესაბამად, რომლებიც მისი თაობის მხატვრებს აღელვებდნენ. ოდესური კულტურის და დედამის ზეგავლენით წარმომობილმა მისწრაფებამ ერთგვარი აკადემიურობისაკენ, ი. შარლემანი დაუახლოვა ისეთ მხატვრებს, როგორიც იყვნენ კარდოვსკი, ჩეხონინი, მიტროხინი, ნარბუტი, არქიტექტორი შჩუსევი, ფომინი, რომლებთან ერთად მან დააარსა „მხატვართა ახალი საზოგადოება". ამ საზოგადოებამ, რომლის მდივანიც შარლემანი იყო, იარსება 1907-დან 1914 წლამდე.

1916 წელს ი. შარლემანმა იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში (ბოზდოკი, გროზნო, სტანიცები), რომ შეეკრიბა მასალები ლევ ტოლსტოის მოთხრობების „ყაზაკების" დასასურათებლად. 1917 წლის დასაწყისში იგი მოხვდა კავკაკში, ხოლო იმავე წლის აპრილში საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვიდა თბილისს, სადაც იგი გულთბილად მიიღეს ქართველმა მწერლებმა, რომლებიც მას იცნობდნენ, როგორც უკვე საველმოსაკეკილ მხატვარ - გრაფიკოსს. შარლემანი მკვიდრდება თბილისში და აქედან იწყება ახალი პერიოდი მის შემოქმედებაში.

შარლემანმა უმალვე ღრმა ინტერესით და მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით ხელი მოკიდა საქართველოს ისტორიული ძეგლების, კერძოდ, ქართული ხელნაწერების მდიდარი მოკაზმულობის შესწავლას. ამ საქმეში მას განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ეკვთიმე თაყაიშვილი. რა თქმა უნდა, მას გარკვეული დრო დასჭირდა იმისათვის, რომ დაეფლო ქართულ მხატვრულ მემკვიდრეობას და გამოეყენებინა იგი თავის შემოქმედებითის მეშაობაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. შარლემანის მხატვრულ შემოქმედებას და იმ ვითა პედაგოგიურ ნიჭს ფართო სარბიელი მიეცა. საქართველოს სსრ საბალმწიფო კომისართა საბჭოს დავალებით ი. შარლემანმა, ე. ლანსერესთან ერთად, დახატა საქართველოს სსრ საველმწიფო გერბი და აქედან დაიწყო მისი მოღვაწეობის ფრიად ნაყოფიერი პერიოდი, რომელიც 30 წელიწადს გრძელდება. 1922 წლის გაზაფხულზე, როცა სამხატვრო აკადემია დაარსდა, ი. შარლემანი მოწვეული იქნა პროფესორად. მან შექმნა აკადემიის გრაფიკული ფაკულტეტი, ე. ი. საფუძველი ჩაუყარა საქართველოს საბჭოთა გრაფიკოსების აღზრდის კერას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ზრდიდა და აწრთობდა ამ დარგის ოსტატებს. აკადემიის არსებობის პირველ წელსვე მოწყობილმა სტუდენტთა ნამუშევრების საანგარიშო გამოფენამ გამოამჟღავნა ახალი დიდი მესაძლებლობა ქართული წიგნის გაფორმებისა, რომელიც იმდროიდან იწყებს თავის სწრაფ აღმავლობას, როგორც საბჭოთა ნაციონალური კულტურის განუყოფელი ნაწილი.

ი. შარლემანის ღვაწლი ის არის, რომ იგი შეუპოვარი, გამიზნული და გავლაშეწონილი მეშაობით ზრდიდა გრაფიკოსებს, სხვადასხვა გრაფიკული დისციპლინების ხელმძღვანელებს, შრიფტის, პლაკატის, სატიტელო ფურცლების, ყდების, ილუსტრაციების, საერთოდ წიგნის გაფორმების ოსტატთა მთელ თაობებს. წარმართავდა რა გრაფიკის ფაკულტეტს, რომლის დეკანიც იგი მთელი ათი წლის განმავლობაში იყო, ი. შარლემანი დიდ და ნაყოფიერ გავლენას ახდენდა მთელი აკადემიის სტუდენტობაზე. უწევდა მას ხელმძღვანელობას ხატვის საერთო კლასში.

ი. შარლემანს, როგორც პედაგოგმასწავლებელს, ახასიათებს ახალგაზრდობის წინაშე წამოჭრილი შემოქმედებითი ამოცანების მკაფიო და ღრმა ანალიზი, ამ ამოცანების განსასახიერებელ საშუალებათა მკაფიო განხილვა, ნათელი გარკვევა იმ მიზეზებისა, რომლებმაც მხატვრის ესა თუ ის მარცხი, ესა თუ ის ნაკლი გამოიწვიეს. მას, როგორც პედაგოგს, უყველაფერი საფუძვლიანად მოფიქრებული და გაანალიზებული აქვს.

იგივე თვისება—მკაფიოდ გარკვევა დასახული ამოცანებისა და მათი განსახიერების ხერხების ზუსტი შერჩევა ახასიათებს შარლემანის პირად მხატვრულ შემოქმედებას, რომელიც მრავალფეროვანია. ი. შარლემანი, რომლის პირველი ნაბიჯები სამხედრო ჩაცმულობის, სამხედრო აქსესუარებს, ისტორიული ამბების სტილიზებულ ილუსტრაციებთან იყო დაკავშირებული, შემდგომ მეშაობა

შიაც ხალისით ასრულებს სტილიზაციასთან დაკავშირებულ ისეთ შეკვეთებს, როგორიც არის ადრესები, დიპლომები და სხვ. ასე, მაგალითად, მან თბილისის უნივერსიტეტის შეკვეთით, 1927 წელს, გუაშით ეტრატზე შესრულა ადრესი ხეკოლის უნივერსიტეტისადმი მისი არსებობის 700 წლისთავის გამო. შემდეგ იგი ხატავს ეპიზოდებს ომის ისტორიიდან. ამ სურათებს სრული დოკუმენტური მნიშვნელობა აქვთ იმის გამო, რომ ისინი შესრულებული არიან ისტორიული დროის, რეალური ამბების და ეპოქის თავისებურების ღრმა ცოდნით, თუმცა მათში მეტანილია კარგად მოფიქრებული სტილიზაციის ერთგვარი დოზაც. მაგალითად, საქართველოს საბჭოთა მხატვრების 1944 წლის მორიგი გამოფენისათვის დახატული სერია „ბაგრატიონი ბოროდინოს ველზე" შარლემანს შესრულებული აქვს აკვარელით: ეს თითქოს შეფერილი ხახატია, რომელიც მოგვაგონებს ასახული ამბის დროინდელ ხახატებს; თვით დახატული ჩარჩოც და არქიტექტურული ნიშნებიც იმდროინდელ ნიშნებს მოგვაგონებს. სერათის სიუჟეტიც—ბაგრატიონის დაკრძალვა, ბრძოლის მთელმა ვითარებამ და მის მონაწილეთა მოქმედების ეტიკეტმა თითქოს ეკარნახა მხატვარს შესრულების ერთგვარი სტილიზაცია, რაც მისაწვდომია მისი იმჟამინდელ ცოდნისა და კულტურისათვის.

ასევე ღრმა მოფიქრებით, კონკრეტული მხატვრული მოთხოვნების შესაბამისად აქმნის ი. შარლემანი საგამოფენო ავეჯს საქართველოს სახელმწიფო მეზეუმისათვის. 1929-32 წლებში მან დაამზადა საექსპოზიციო ანსამბლები (ბელგიური, სპანეთი, საქართველოს მინერალური რესურსები და სხვ); მანვე შეიმუშავა ახალი ფორმის ავეჯი და ოთახების მორთულობა ინდივიდუალური დასვენების სახლებისათვის ბაკურიანში, გაგრაში, თბილისში (საქართველოს კურორტმენის შეკვეთით).

ი. შარლემანისათვის დამახასიათებელია ღრმა ინტერესი—ერთიერთს შეუთავსოს მეცნიერული მონაცემები და მხატვრული წარმოსახვა. ამ ინტერესის ნაყოფია, მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო მეზეუმის ერთ-ერთი პანთ, რომელიც წარმოგვიდგენს პირველეულოფილ ადამიანს, მის ნადირობას მხეცებზე. შარლემანს ეკუთვნის წიგნი მხატვარ ანიმალისტებზე, ცხოველთა გამოსახვის ამოცანებზე და თავისებურებაზე, წიგნი, რომელსაც თან ახლავს ავტორის მიერ შესრულებული ანალიზური სურათები.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ი. შარლემანს ქართული საბჭოთა თეატრის წინაშე. მას გაფორმებული აქვს მრავალი სპექტაკლი. მას ეკუთვნის დიდძალი დეკორაციების, კოსტუმების ესკიზები. ქართულ თეატრში მუშაობა მან მარჯანიშვილის მიწვევით დაიწყო, 1923 წელს გააფორმა ბერნარდ შოუს „წმინდა ჭაბუკი". მანვე გააფორმა ოდესის ოპერისათვის „პიკის ქალი" და „იულის კეისარი" მოსკოვის მცირე თეატრისათვის. ხაჭარია ფალიაშვილის სახელობის თეატრში მის მიერ არის გაფორმებული „მეფის საფოლე", „ჯავშნოსანი პოტიომკინი", „ეკვეხი ოხეგინი", „ივან სუსანინი", „ბორის გოდუნოვი" და სხვ.

მხატვრული და მეცნიერულ-კვლევითი ინტერესები ი. შარლემანს ეკარნახებდა მუდამ ახალი ყოფილიყო ხალხის ცხოვრებასთან. 1923 წელს მან იმოგზაურა სვანეთში (კინოსერიათ „ძიბა-ძაძეს" გადაღების მომზადებასთან დაკავშირებით); ამ მოგზაურობიდან მან უამრავი ჩანახატი, სახლების, ავეჯის, ტიპების აკვარელები ჩამოიტანა. ხევსურეთში მისი მოგზაურობაც ასევე ნაყოფიერი იყო. ავეჯის, ჭერქლის, იარაღის, ტანსაცმლის, პეიზაჟის დიდძალი ჩანახატით დაბრუნდა იგი ამ კუთხიდან. ქართლში მოგზაურობას მოაყვა მრავალი გლეხური დარბაზის ფიქსაცია (ნაწილი გამოქვეყნდა 1927 წელს). ამ დიდმა მასალამ შეუქმნა რეალური საფუძველი ი. შარლემანის მრავალმხრივ და ნაყოფიერ შემოქმედებას. სწორედ ამის შემდეგ იწყებს იგი ქართული ლიტერატურის ისეთი ნიმუშების ილუსტრირებას, როგორიც არის ეკაილ ბარნოვის რომანი „გორგი საკაძე", ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები და სხვ. ეს ილუსტრაციები, მის მიერ წინათ შესრულებული ილუსტრაციების — მ. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის ნაწარმოებების ილუსტრაციებთან ერთად, საბჭოთა გრაფიკის მნიშვნელოვან მიღწევებს წარმოადგენენ.

ი. შარლემანი სწორედ საქართველოში მოღვაწეობის დროს გვიჩვენებს მეტად თავისებურ ნიჭს, როგორც ფერმწერალი. თუ წინათ მან მოგვცა რამდენიმე ისტორიული ხასიათის სურათი (ეპიზოდები დეკაბრისტების ოჯახებიდან და სხვ.), საბჭოთა საქართველოში ის გადატაცა ჩვენი თანამედროვეობის, ჩვენი ცხოვრების ახალი ფორმებმა. ასეთია, მაგალითად, მისი აკვარელი, რომელიც გვიხატავს წითელ ცხენოსანი ჯარის მისასალმებლად თავმოყრილ ქართველ ბავშვებს, აკვარელი, რომელიც წარმოგვიდგენს პირველ ელექტრომავალს ძველისძველ ცხენასთან, ან შარლემანს თბილისში, ხალხ სამაბელ ოქრს თემაზე დაწერილი სურათებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია—„სტალინი ფრონტზე, შეტევაზე საბჭოთა ჯარის გადასვლის წინ". იგი გატაცებით მუშაობს ისტორიულ-პატრიოტულ თემებზე („ბაგრატიონი შეიდარიაში 1799 წელს", „ბაგრატიონის დაკრძალვა ბოროდინოს ველზე", „ალეშინი ა. ჭავჭავაძესა და ნაადელთან ერთად ცარსკოე სელოს პარკში" და სხვ.).

დასასრულ, არ შეიძლება არ დავასახელოთ ი. შარლემანის მიერ შესრულებული პორტრეტები, რომელთა რაოდენობა დიდი არ არის, მაგრამ ყოველი მათგანი შესრულებულია გამოსახული პიროვნების შინაგანი ბუნების, მისი ფსიქოლოგიური თავისებურების ღრმა ცოდნით. ასეთია დოსტოევსკის, ა. ბლოკის (მ. გორკის მოგონებების მიხედვით) და ჩვენი ქართველი საბჭოთა მწერლების — კ. გამსახურდიას, ს. ტაბიძის და არქიტექტორის აკადემიკოსის ნ. სევერიოვის პორტრეტები.

თვალს ვაყენებთ რა ი. ა. შარლემანის ნაყოფიერ მოღვაწეობას, ვესალმებთ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს და დაუცხრომელ ენერგიას ჩვენი დიდი საშობლოს და ჩვენი საბჭოთა კულტურის საკეთილდღეოდ!